ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1589343

ნომერი: AR1260279

თარიღი : 30.10.2014

გაცემის თარიღი : 25.11.2014

გაცნობის თარიღი : 25.11.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გოცაძე პ/ნ 01025017498
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 35 ბ. 57

ორგანიზაცია:

- ოლდ გრუპ კოდი: 405003213

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2014 წლის 30 ოქტომბრის #AR1260279 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში საკადასტრო გეგმით #01.72.14.038.896 მიწის ნაკვეთზე საწყობის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:

საერთო სიტუაციიდან და ერთიანი ქალაქგეგმარებითი მიმართულებიდან გამომდინარე, არასწორი გამიჯვნების შედეგად წარმოიქმნა არსებული განაშენიანების გეგმარების, სივრცით–მოცულობით და ესთეტიურ პარამეტრებთან შეუსაბამო საკადასტრო ერთეულები. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: #01.72.14.038.896) წარმოადგენდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (საკადსტრო კოდით #01.72.14.038.895) საერთო საკადასტრო ერთეულს საკადასტრო კოდით #01.72.14.038.482. აღნიშნულის არასწორი გამიჯვნის შედეგად წარმოიქმნა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შეუსაბამო მიწის ნაკვეთი.

ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით არ არის მისაღები აღნიშნული სახით ნაკვეთების დანაწევრება და მათი დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარება. მიზანშეწონილია ისევ ორივე მიწის ნაკვეთის ერთიანი სამშენებლოდ განვითარება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.